პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 177 (3661)

1968 წ. 8 სექტემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

# ოლიმპიური იდეების საწინააღმდეგოდ

### სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის განცხადება

სპორტული პრესა უკვე იუწყებოდა, რომ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ამსტერდამში მიმდინარე კონგრესმა გადაწყვიტა არ ჩაატაროს ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში სსრ კავშირში უნდა გამართულიყო და გადასდო რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ფედერაციის მოქმედება არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა, როგორც უხეში შეჭრა ფედერაციის წევრთა ნორმალურ ურთიერთობაში, როგორც ბინძური ცდა კონგრესის ზოგიერთი წევრისა, გამოიყენოს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობა თავისი ბოროტი მიზნებისთვის, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს არაფერი არა აქვს საერთო სპორტთან. სავსებით ცხადია, რომ მსგავს გადაწყვეტილებას მიზნად აქვს სპორტსმენთა გათიშვა, საერთაშორისო ფედერაციის წევრებს შორის შუღლის ჩამოგდება, საერთაშორისო სპორტული ცხოვრების მიერ მიღებულ წესებსა და ხელბურთის განვითარების საქმისთვის დარტყმის მიყენება. ეს სპორტსმენთა აშკარა დისკრიმინაციაა. ამ უხამსი გამოხდომის ავტორები არიან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი შვედი ხიოგბერგი, მისი თანამემამულე, შვეციის ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ვადმარკი, აგრეთვე, ფედერაციის საბჭოში პოლანდიის წარმომადგენელი აკერმანი. სპორტის უმაღლეს პრინციპებთან შეუთავსებელ ბინძურ ისტორიას მხარს უჭერს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი ბაუმანი და ნორვეგიელი კასპერსენი.

სსრ კავშირის წარმომადგენელთა (საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ე. რაკიტინი და პასუხისმგებელი მდივანი ვ. სუსლოვი) ყველა ძალისხმევამ, გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ცდებმა, შეეცვალათ კონგრესის გადაწყვეტილება, ნაყოფი არ გამოიღო.

საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობაში შემავალი ნორვეგიის, შვეციის, შვეიცარიის, ჰოლანდიის დელეგატთა რეაქციული მოღვაწეობის საპირისპიროდ, რომლებიც ანტისაბჭოთა პროპაგანდის მესვეურთა ნება-სურვილს აჰყვნენ, სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაეთანხმოს კონგრესის გადაწყვეტილებას და მოსთხოვა საერთაშორისო ფედერაციას მოიწვიოს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო სესია ამსტერდამის კონგრესის დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გადასახედად.

### უსაფუძვლო გადაწყვეტილება

**ბუდაპეშტი.** როგორც მტი-ს სააგენტო გადმოგვცემს, უნგრეთის ხელბურთის ფედერაციამ დაჰგმო საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილება და ამის თაობაზე პროტესტს აცხადებს.

უნგრეთის ფედერაციის პრეზიდიუმმა კონგრესის გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც უსაფუძვლო და მავნე.

### გადახედვას მოითხოვს!

ჩვენ, სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის წევრები, აღშფოთებული ვართ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პოლიტიკანების გადაწყვეტილებით.

მრავალი ქვეყნის სპორტსმენ ქალებთან ჩვენ მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებს. ვიმედოვნებდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები ჩვენი ქვეყნის სპორტულ მოედნებზე ხელს შეუწყობდა ტურნირის მონაწილეთა შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებას და სათანადო წვლილს შეიტანდა სპორტის ამ სახეობის განვითარებაში.

ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას და ჩვენის მხრივ მოვითხოვთ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილების გადახედვას.

**სსრ კავშირის ნაკრები გუნდის დავალებით, გუნდის თავი**
**გ. ტულიაკოვა.**

# „ოქრო" ტარტუს გაემგზავრა

**ხევანი, 6 სექტემბერი.** ველოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი ესტონეთის ქალაქ ტარტუს წარმომადგენელმა ი. კლაასემა მოიპოვა. მან 83 მონაწილიდან ყველაზე სწრაფად გაიარა ჯგუფური რბოლის 182 კმ და აჩვენა 4:31.01,71. ფინიშის ხაზთან მეორე ოლიმპიური გუნდის წევრი პ. იიფერტი მივიდა. ისიც ესტონეთის (ქალაქი პიარნუ) წარმომადგენელია. დისტანციის გავლას იიფერტმა მოანდომა 4:31.01,94. III ადგილზე გავიდა ოლიმპიური გუნდის სხვა წევრი, ლეოველი ი. დმიტრიევი.

... ველოსიპედისტთა ნაირფერმა ქარავანმა სტარტი 11 საათზე დასტოვა. მონაწილეებს 11-ჯერ უნდა შემოევლოთ 16,5-კილომეტრიანი წრე. უკვე მე-3 კილომეტრზე, საკმაოდ გრძელი აღმართის დასაწყისში ძირითად ჯგუფს გამოეყო შვიდეული. საშუალედო ფინიში ყველაზე ადრე ომსკელმა ვ. სოკოლოვმა გადაკვეთა. მან ჯგუფს 1,15 წამი მოუგო.

მაგრამ სიფხიზლეს სხვებიც არ ჰკარგავდნენ. ველოსპორტის ვეტერანის გ. საიდხუჟინის აქტიური მხარდაჭერით სხვაობა ნელ-ნელა შემცირდა, მეშვიდე საშუალედო ფინიშის შემდეგ კი ჯგუფი გაერთიანდა. ცხადი გახდა, რომ ოქროს მედლის ბედს ბოლო მეტრები გადაწყვეტდა...

ბრინჯაოს პრიზიორმა ი. დმიტრიევმა მოიპოვა ყველაზე აქტიური ველოსიპედისტის პრიზი, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი ერევანმა" დააწესა. პრიზის მფლობელმა დააგროვა 25 ქულა. მართალია, მინსკელ პაპენკოს მასზე ერთი ქულით მეტი ჰქონდა, მაგრამ ბოლო წრეზე იგი დისტანციიდან ჩამოვიდა.

გთავაზობთ ადრე ჩატარებული ორი სახეობის საბოლოო შედეგებს. 100 კმ-ზე გუნდური რბოლა მოიგო პირველმა ოლიმპიურმა ნაკრებმა, ხოლო დაყოფილი სტარტით 25 კმ-ზე რბოლა — ჩვენმა ერთ-ერთმა უძლიერესმა ოლიმპიელმა, 21 წლის ნალჩიკელმა სპორტსმენმა მ. შუხოვმა — 33.09,19. ეს შედეგი ახალი საკავშირო მიღწევაა. შუხოვის გარდა, ძველი მიღწევა კიდევ ოთხმა ველოსიპედისტმა გააუმჯობესა.



## დაზავდნენ

**კიევი, 7 სექტემბერი.** გუშინ აქ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის I პარტია. თეთრებით თამაშობდა სპასკი. დებიუტში მძაფრი თამაშის შემდეგ, მეტოქენი 24-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

8 სექტემბერს შედგება II პარტია. თეთრებით კორჩნოი ითამაშებს.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ჩუქნ...

მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და ალმა-ათის „კაირატი". მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

„ა" კლასი I ჯგუფი

### სპორტის საათი

# მეხიკოს საგზურები კიევის აუზში

## გ. პოლულიახი — ჩემპიონი

კიევში გრძელდება წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც მედლების გარდა მეხიკოს საგზურებიც უნდა გასცეს. პირველად ბრძოლაში ტრამპლინიდან მხტომელები ჩაებნენ. თავიდან ვაჟთა ტურნირს 5 ლიდერი ჰყავდა: მ. საფონოვი, ა. მანინი, ვ. ვასინი, ვ. სტრახოვი და ზ. პოლულიახი, ქალებში წინ იყვნენ ე. ანოხინა და თ. პოგოჟევა. მეორე დღეს ყველაზე კარგად იხტუნავეს თბილისელმა პოლულიახმა და მოსკოველმა პოგოჟევამ, რომლებმაც ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

## კიდევ ორი ფინალისტი

რეგბიში სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის ლენინგრადის ნახევარფინალურ ჯგუფში გუშინწინ გამართულმა მეორე ტურის მატჩებმა ვადამდე გამოავლინა კიდევ 2 ფინალისტი. ესენი არიან: ადგილობრივი „ბურევესტნიკი", რომელმაც მოუგო ერევნის „დინამოს" — 18:0 და მოსკოვის „დინამო", რომელმაც ძნელ ბრძოლაში სძლია კიეველ თანაკლუბელებს — 3:0.

ამრიგად, ვორონეჟში გადამწყვეტ მატჩებში ითამაშებენ მოსკოვის „დინამო", უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი, თბილისის „ლოკომოტივი" და ლენინგრადის „ბურევესტნიკი".

## ოლიმპიადაზე წასვლამდე

მეხიკოში წასვლის წინ მელბურნში გამართულ მოცურავეთა ტურნირში ავსტრალიის 2 ახალი რეკორდი დამყარდა. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში კ. მორასმა აჩვენა 4.37,8, 200 მეტრზე ბრასით კი რეკორდის ავტორი გახდა ჯ. პლეიფერი — 2.46,5.



**დუბნა.** ამას წინათ მოსკოვის ზღვაზე საინტერესო სანახაობა გაიმართა: სწრაფმავალი კატერის მეშვეობით ტალღებს მაღლა მიფრინავდა წყლის მოთხილამურე, რომლის თავზე უზარმაზარი ფრანი იყო გაჭიმული. წყლის სპორტის ეს ახალი სახეობა მოსკოვის ზღვაზე წარმოადგინა დედაქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ა. კაზენოვმა.

1965 წელს კაზენოვმა და მისმა სარატოველმა ამხანაგებმა ი. ნიკიტინმა, ი. პლოხოვმა და რ. გრიგორიევმა ააგეს პირველი ახეთი ფრანი. პირველი გაფრენა კი თოვლიან ველზე სწრაფადმქროლი ავტომობილის დახმარებით განახორციელეს. მაშინ სიმაღლე უმნიშვნელო იყო, კონსტრუქცია — არასრულყოფილი, თოვლზე დაშვება — სახიფათო. გადაწყვიტეს ეფრინათ მხოლოდ წყალზე.

მიდიოდა თვეები. კაზენოვმა შექმნა ახალი კონსტრუქცია. თვითონ კარგად დაეუფლა საწყლოსნო თხილამურებს. ამჟამად მისი ფრანი 10-15 მეტრ სიმაღლეზე ადის. ახალგაზრდა გამომგონებლის ცხოვრებაში დადგა ახალი ეტაპი: ამზადებს სპორტულ ფრანს, რომელიც სპორტსმენს საშუალებას მისცემს გაბედულად აიღოს სიმაღლეები.

სურათზე: კატერის კვალდაკვალ 12 მეტრის სიმაღლეზე.

ფოტო ი. ტუმანოვისა (საქტესი).

ბიბლიოთეკა

# მინდორზეა ოცდამესამე

დღეს ჩვენ ტრიბუნას ვუთმობთ რესპუბლიკის საუკეთესო მსაჯებს, ადამიანებს, რომლებიც სათავეში უდგანან სპორტულ ბრძოლას. ზოგიერთი მათგანი ძველი, გამოცდილი არბიტრია: უმსაჯია როგორც საკავშირო, ისევე ოფიციალური საერთაშორისო მატჩები. მეორენი შედარებით ახალბედები არიან. მაგრამ უკვე გამოიჩინეს თავი, როგორც კვალიფიციურმა და პრინციპულმა არბიტრებმა.

ყველა ისინი მსაჯობის სხვადასხვა მხარეებს ეხებიან, გამოთქვამენ თავიანთ გულისტკივილს, მაგრამ ყველას ერთი რამ ამოძრავებს: იყოს ჩვენი ფეხბურთი შეგნებულ და კორექტულ ადამიანთა ასპარეზობა, მუდამ განუზომელი სიხარული მოუტანოს მაყურებელს.

## მსაჯობა ხელოვნებაა



ფეხბურთის გარიჟრაჟზე მსაჯი საერთოდ არ არსებობდა. თამაში სტიქიურად მიმდინარეობდა და ზოგჯერ ხოცვა-ჟლეტას უფრო წააგავდა, ვიდრე სპორტულ ასპარეზობას. ყოველ მაყურებელს შეეძლო როცა მოისურვებდა „ჩარეული-ყო“ თამაშში — მინდორზე გასულიყო და... შეურაცხყოფა მიეყენებინა ფეხბურთელისთვის.

ერთი სიტყვით, იმ დროს იმდენი „მსაჯი“ იყო, რამდენიც მაყურებელი. ცხადია, ასეთ ქაოსს თანდათანობით მოეღო ბოლო. საფეხბურთო სანახაობა წარმოუდგენელი გახდა სიმართლისა და ჭეშმარიტების დამცველი პირის — მსაჯის გარეშე.

დღეს მსაჯობა უკვე ის არაა, რაც, თუ გნებავთ, ამ 30-40 წლის წინათ იყო. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ფეხბურთის განვითარებასთან ერთად მსაჯობამ დიდი ევოლუცია განიცადა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსაჯობა ახლა ხელოვნებაა.

დიახ! ჩვენი საუკეთესო მსაჯები მხოლოდ ფეხბურთის შესანიშნავი მცოდნეები კი არ არიან, არამედ გამოცდილი პედაგოგები და, თუ გნებავთ, კარგი ფსიქოლოგებიც. არბიტრს მოეთხოვება ცალკეული ფეხბურთელის ხასიათის ცოდნა და ცხადია, დიდი ტაქტი.

აი, მაგალითი: მოსკოვის „დინამოს“ ნახევარმცველი ვ. მასლოვი, უაღრესად დისციპლინიანი და კორექტული ფეხბურთელი, მეტისმეტად მწვავედ განიცდის ყოველივე სათამაშო ეპიზოდს, რომ იტყვიან, ძალიან ახლოს „მიაქვს ბურთი გულთან“. ცხადია, იგი ხშირად სხვაზე მეტად ღელავს, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ მასლოვისთვის შენიშვნა მიმეცეს და იგი უმალვე არ დაწყნარებულიყოს.

აი, მეორე, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო მაგალითი: საბო. ამ უდავოდ ნიჭიერ სპორტსმენს მე მაინც ვერ ჩავთვლი დიდ ფეხბურთელად, ვინაიდან იგი ძალზე თავშეუკავებელი და უხეშია (სხვათა შორის, საბო ბევრჯერ დაისაჯა და სრულიად სამართლიანადაც). პირადად მე არ მიმსაჯია კიევის „დინამოს“ არც ერთი თამაში, საბოსთვის შენიშვნა ან გაფრთხილება რომ არ მიმეცეს. ამასთან, თუ მასლოვს შენიშვნა უნდა მისცე, ასე ვთქვათ, ქარაგმულად, საბოსთვის საჭიროა შეიძლო თამაში, მოიხმო იგი და მკაცრად, ზოგჯერ მუქარითაც კი მოუწოდო წესრიგისკენ.

როგორც ხედავთ, მსაჯობა არც ისე იოლი საქმეა. იგი ერთობ კვალიფიციურ, ობიექტურ, პრინციპულ და ჰუმანურ ადამიანთა ხელოვნებაა!

**კ. ყრუაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ჯარიმა... მაყურებლის მოთხოვნით



ნუ გაიკვირვებთ — ასეც ხდება ხოლმე, სამწუხაროდ. ძალიან ხშირად მქონია საშუალება სხვა ქალაქებშიც მედევნებინა თვალი ფეხბურთის მატჩებისთვის და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხშირად ჩემი კოლეგები ტრიბუნების გავლენით მასპინძელთა სასარგებლოდ სცოდავენ.

დავუშვათ, მსაჯი შეცდა (რა ვუყოთ, ისიც ადამიანია!), მაგრამ მეორე მომენტში მიხვდა, რომ უსწოროდ აღნიშნა შექმნილი მდგომარეობა. როგორ მოიქცეს — არ გადათქვას პირვანდელი გადაწყვეტილება და, ამრიგად, ყალბი „პრინციპულობა“ გამოიჩინოს? არა და არა!

პრინციპულობა სწორედ ის იქნება, თუ მსაჯი უმალვე გამოასწორებს თავის შეცდომას და ერთადერთ, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. შესაძლოა, ამან გულშემატკივრების სტვენა და ყიჟინი გამოიწვიოს, მაგრამ ერთი ხომ ცხადია: მსაჯი ამ შემთხვევაში წმინდაა თავისი მორალის, თავისი პრინციპის წინაშე.

მოვიყვან ორიოდე წლის წინანდელ ამბავს: ოდესაში ადგილობრივი „ჩერნომორეცისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრის დროს მსაჯმა ს. არხიპოვმა სრულიად ნორმალურ სათამაშო სიტუაციაში ტორპედოელთა კარში მოულოდნელად დანიშნა 11-მეტრიანი დარტყმა. ქუთაისელები მიცვივდნენ მსაჯს და თავშეკავებულ ფარგლებში მოითხოვდნენ მისგან შეეცვალა ეს უცნაური გადაწყვეტილება.

მეტსაც ვეტყვით: მე მაშინ იქ გახლდით და კარგად შევამჩნიე, რარიგ გაკვირვებული იდგნენ „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები. რაც შეეხება ადგილობრივ მაყურებლებს, მათ, წარმოიდგინეთ, პენალტის გატანისას ტაშიც კი არ დაუკრავთ.

**ი. ბოჩოროძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## გვერდითი არბიტრი... თამაშგარე მდგომარეობაში



გვერდით მსაჯებს თამაშის დროს რომ დიდი მოვალეობა აკისრიათ, ეს ჭეშმარიტებაა. მინდვრის მსაჯი მათგან მუდამ ელის დროულ, ობიექტურ დახმარებას — თამაშგარე მდგომარეობის ზუსტ განსაზღვრას, ბურთის მიერ კარის ხაზის და მინდვრის გვერდითი ხაზების გადაკვეთას, მის ახლოს შექმნილი ყველა სადავო მდგომარეობის აღნუსხვას.

აი, მაგალითიც: შარშან ნიკოლაევში ვსჯიდი „ა“ კლასის II ჯგუფის მატჩს ადგილობრივი „სუდოსტროიტელისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ გუნდებს შორის. გვერდით მსაჯად დანიშნული იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი კ. ყრუაშვილი. წინა დღით იგი ოდესაში სჯიდა მატჩს, მე კი მაშინ ვეხმარებოდი. არ ვიცი რამდენად გამოვადექი მე მას ოდესაში, მაგრამ ნიკოლაევში იგი ჩემთვის ნამდვილ ბურჯად იქცა. დასაწყისიდანვე ვგრძნობდი, რომ მინდორზე მარტო არა ვარ, მხარში მიდგას უაღრესად გამოცდილი, ობიექტური ამხანაგი, თუ გნებავთ, მეგობარი.

სამწუხაროდ, მუდამ ასე როდია. ძალიან ხშირად გვერდით მსაჯებად დაბალი კვალიფიკაციის არბიტრებს ნიშნავენ...

ყოველივე ეს თავიდან რომ ავიცილოთ, ჩემი აზრით, საჭიროა შემდეგი: ადგილობრივმა სპორტკავშირებმა ფეხბურთის მოყვარული ახალგაზრდებისგან უნდა მოამზადონ, როგორც წესი, 3-4 გვერდითი მსაჯი. აი, სწორედ მათ ექნებათ მატჩების ჩატარების ოფიციალური უფლება და დიდად დაეხმარებიან მსაჯს თამაშის ნორმალურად წარმართვაში.

**ზ. თოდაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ...და — მაყურებელი!



ეს სიტყვები, რომელიც დასრულებულად ასე ჟღერს, ერთ ცნობილ ტორეადორს ეკუთვნის: „სარბიელზე მე ორი მტერი მყავს — გამძვინვარებული ხარი და მაყურებელი. ეს უკანასკნელი, წარმოიდგინეთ, გაცილებით უფრო საშიშია“.

მართალია, ფეხბურთი კორიდა არაა, მაგრამ ვნებანი აქ ხშირად კორიდაზე არანაკლებია. ერთის მხრივ 40-100 ათასი მაყურებელი და 22 ფეხბურთელი, მეორეს მხრივ კი — მსაჯი თავისი თანაშემწეებით. როგორც ხედავთ, შეფარდება აშკარად უთანაბროა.

თამაშში ხშირად იქმნება ისეთი სადავო მომენტები, რომლებშიც ერთსულოვნება ზოგჯერ სამივე მსაჯს არა აქვს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელებიც სხვადასხვაგვარად აფასებენ შექმნილ მდგომარეობას. ადვილი წარმოსადგენია, რომ თავის მხრივ ტრიბუნებზე იწყება მთელი მითქმა-მოთქმა, რომელიც სტვენაში, უხეშ შეძახილებსა და მსაჯების შეურაცხყოფაშიც კი გადადის. ასეთ შემთხვევაში არბიტრი არ უნდა აღელდეს, არ უნდა შეიმჩნიოს ორჭოფობა და გაბედულად, დამაჯერებლად განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მაყურებელი, რომელსაც ფეხბურთის დიდ სპეციალისტად მოაქვს თავი, საერთოდ ვერ ერკვევა თამაშის წესების ელემენტარულ საკითხებშიც კი.

იქნებ სჯობდეს, რომ მათთვის ადგილობრივი რადიოს საშუალებით მოეწყოს თამაშის წესების რეგულარული გადაცემები, წესები ფეხბურთის პროგრამებშიც უნდა დაიბეჭდოს დროდადრო.

მინდა შევაჩერო ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, როგორიცაა მსაჯის ავტორიტეტი. თუ არბიტრს არა აქვს საკმაო პატივისცემა და ავტორიტეტი ფეხბურთელებში, მისი გადაწყვეტილება მოთამაშეებს მუდამ საეჭვოდ ეჩვენებათ. ისინი ეკამათებიან არბიტრს, რაც თავის მხრივ ტრიბუნების „აზრობრებას“ იწვევს. ფეხბურთელები კი მსაჯს შრომას უნდა უიოლებდნენ, მაშინ თამაშიც უფრო საინტერესო და სასიამოვნო სანახავი იქნება.

**ა. ვარდიაშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## მეტი პრინციპულობა

ჩემი საუბარი მინდა დავი[...] წყო ი. ბოჩაროვის გამოსვლით [...] ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის“ ფურცლებზე. მოსკო[...]ველი არბიტრი სავსებით სამართლიანად წერდა ე. წ. ლიბ[...]რალ მსაჯებზე, რომლებსაც უწმაწური სიტყვების გაგონ[...]ბაზე ერთბაშად... სმენა „ეკარ[...]გებათ“. ბოჩაროვმა მოიყვანა ახალგაზრდა სოხუმელი არბიტრის ა. მილჩენკოს მაგალითი, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა ლენინგრადელი ფეხბურთელების მიერ მისი თანამსაჯის ო. ალავიძისადმი უხე[...]ში გამოხდომა.

სამწუხაროდ, ეს მაგ[...] ერთადერთი როდია: ზ[...] იგივე ამბავი ვიხილეთ თბილი[...]სის „დინამოს“ მატჩის დრო[...] „არარატთან“. გახსოვთ ა[...]ბათ თამაშის მეორე ნახევარში გვერდითი მსაჯის მიხეილ მაცკევიჩის გადაწყვეტილებით (მან სავსებით სამართლიანა[...] არ აღნიშნა არარსებული თამაშგარე მდგომარეობა!) განაწყე[...]ბული ერევნელები მივარდნენ მას და გაუთავებელი ლანძღვა-გინებით და წარმოიდგინეთ მუჯლუგუნებით გაუმასპინძლდნენ. ცხადია, თანამსაჯმა არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე, როგორც მსაჯს, მაოცებს [...] ხოდინის უპრინციპობა და თუ გნებავთ, დაბნეულობა. მა[...] არავითარი ზომა არ მიიღო [...]



ინციდენტის გამო — არც შე[...]ნიშვნა და არც გაფრთხილება არ მისცა ერევნელ აბრამიან[...] (№ 3). ობიექტური, პრინციპ[...]ლი მსაჯი კი ამ ხულიგანს უ[...]ჭველად გააძევებდა მინდვრი[...]დან.

ცხადია, ყოველივე ამან სუ[...]მთლად „აურია“ ისედაც ნერვ[...]ული მატჩის მონაწილენი და [...] რჩენილ დროს მინდორზე უკ[...] მსაჯი კი არ იყო მატჩის ბ[...]ტონ-პატრონი, არამედ თვით[...] ფეხბურთელები. სიტყვამ მო[...]ტანა და ვღნიშნავ, რომ [...] მატჩის მსაჯები საერთოდ ვე[...] იდგნენ მოწოდების სიმაღლ[...]ზე.

ავიღოთ თითქოს უმნიშვნე[...]ლო ამბავი — 9-მეტრიანი მა[...]ძილის დაცვა თავისუფალი, [...] ჯარიმო და კუთხური დარტ[...]მებისას. როგორც წესი, [...] დროს იწყება გაუთავებელი [...] ჭრობა, რაღაც „კატა-თაგვობ[...]ნას“ მსგავსი ამბავი მსაჯსა [...] ფეხბურთელებს შორის. ას[...] სიტუაციაში მსაჯმა შემნ[...] უნდა მისცეს გუნდის კაპიტა[...] ხოლო განმეორებით შემთხ[...]ვაში გაფრთხილება ჩაუწერ[...] ოქმში.

მსაჯის ასეთი პრინციპულ[...]ბა უეჭველად შედეგს გამო[...]ღებს — ფეხბურთელები თვ[...]თონვე შეეცდებიან შემდგომ[...] აღარ დაარღვიონ ეს ელემენ[...]ტარული წესი.

**გ. ბაქანიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## მარჯვენა ხელი



ცოტა არ იყოს უცნაურია, მაგრამ ასეა: ზოგიერთი ფეხბურთელი ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე უკვე მსაჯის წინააღმდეგაა განწყობილი. იგი მასში რატომღაც თავის პირად მტერს ხედავს. იბადება კითხვა, რატომ? მსაჯი ხომ საფეხბურთო სპექტაკლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა, იგი ეხმარება ფეხბურთელებს ლამაზად წარმართონ ბრძოლა, მრავალრიცხოვან მაყურებელს კი მთელის არსებით განაცდევინონ სპორტული სიამოვნება.

რა თქმა უნდა, მსაჯისადმი ფეხბურთელების დამოკიდებულებასა და განწყობილებაში უპირველესი სიტყვა ეკუთვნით მწვრთნელებს — მოთამაშეების სპორტულ და სულიერ აღმზრდელებს. მაგრამ არბიტრით უკმაყოფილება უმეტესად თამაშის დროს ხდება, ე. ი. მაშინ, როცა მწვრთნელს არა აქვს საშუალება უშუალოდ ჩაერიოს მატჩში და სათანადოდ გაკიცხოს თავისი აღსაზრდელები.

კაპიტანი! დიახ, სწორედ მას ეკუთვნის აქ პირველი სიტყვა. მან, გუნდის ყველაზე გამოცდილმა, ავტორიტეტულმა მოთამაშემ მკაცრად უნდა მოუწოდოს დამრღვევს წესრიგისკენ.

მე ახალგაზრდა მსაჯი ვარ და, ამიტომ, შეიძლება სხვაზე მეტად ვგრძნობდე კაპიტნის როლს მინდორზე. როდესაც იგი მოწოდების სიმაღლეზე დგას და სწორად წარმართავს პარტნიორების „ცხოვრებას“ მინდორზე, ჩვენ, არბიტრებს ბევრად გვიადვილდება მატჩის ნორმალურად ჩატარება.

ამ მხრივ ყოველთვის მსიამოვნებს გორის „დილასა“ და ცხაკაიას „კოლხეთის“ მონაწილეობით მატჩების მსაჯობა. ამ კოლექტივებს სათავეში უდგანან კულტურული, შეგნებული კაპიტნები. დიდი სიამოვნებით ვასახელებ მათს გვარებს: მ. კობიაშვილი, ო. ქაჩიბაია.

სამწუხაროდ, ყველა კაპიტანი ასეთი როდია. აქ შეიძლებოდა [...] გიერთი გვარის დასახელება, [...] რამ, ვფიქრობ, ამჯერად არ ღ[...] ამ წერილის წაკითხვისას [...] თავად „იცნობენ“ თავიანთ [...] და შეიგნებენ იმ მეტისმეტად [...] პასუხისმგებლობას, რაც კაპიტ[...] აკისრია. ფეხბურთი მარტო [...] ცობისა და სიმარდის სპორტ[...] არ არის, არამედ კულტურულ[...] კორექტულ ადამიანთა პაექრო[...]

**ე. ჩიფჩიუ[...]**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

გვერდი მოამზადა ო. ნოზა[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. გალპერინის დაბადების 70 წლისთავის გამო

# მთავარი საქმე, მთავარი თემა



ცხოვრების მანძილის გავლა ფეხბურთის მინდვრის გადაჭრა არაა. 70 წელი ყველასთვის როდია მხოლოდ მოგონებათა ხანა. სპორტის დამსახურებული ოსტატი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი ასირ გალპერინი თავისი ბიოგრაფიის ამ ერთ მონაკვეთს ისევ ენერგიით ხვდება და სპორტულ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმული ხვდება. მას ფეხბურთისთვის შეწირული 55 წელი აწევს მხრებზე. აქედან 25 წელიწადს ასირს სპორტის დამსახურებული ოსტატი ჰქვია. სამმაგი იუბილე! მართლაც შესაშური დღეგრძელობაა სპორტული ერთგულებისა, გატაცებისა, კარგი, ნაყოფიერი მუშაობისა.

გალპერინის სახელი უმთავრესად ქართულ ფეხბურთთანაა დაკავშირებული, მაგრამ მისი ცხოვრება ნიკოლაევში დაიწყო. იგი იქ დაიბადა, იქ დაიწყო მუშაობა გემთმშენებელ ქარხანაში ლამხმარე მუშად თითქმის ბავშვმა. შემდეგ ზეინკლობა შეისწავლა. იქ გაეკიდა პირველად ბურთს და სულ მალე კარგი მოთამაშის სახელიც დაიგდო.

უნდა ითქვას, რომ იმ წლებში, პირველი იმპერიალისტური ომის წინ, ნიკოლაევი განთქმული იყო თავისი ფეხბურთით. მაშინ ამას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ — ქალაქში ინგლისელების სიმრავლემ (ისინი რუსულ-ინგლისურ კლუბებში თამაშობდნენ) და ხშირმა შეხვედრებმა უცხოელ გუნდებთან, ნავსადგურში ჩამომდგარ გემებს რომ მოჰყვებოდნენ.

ასე იყო თუ ისე, 15 წლის გალპერინმა ცენტრალური ფორვარდის ადგილი დაიკავა კლუბ „სპორტინგში". 1914 წელს, 16 წლისამ უკვე ქალაქის ნაკრებში დაიწყო თამაში ცენტრალურ თავდამსხმელად და „საერთაშორისო ნათლობაც" კი მიიღო სტამბოლის ნაკრებთან მატჩში.

ძალიან ადრე დაიწყო გალპერინის საზოგადოებრივი მოღვაწეობა სპორტშიც. 1918 წელს იგი ქალაქის საფეხბურთო ლიგის მდივანი იყო, უფრო გვიან კი ადგილობრივ სპორტულ კლუბს „უნიონს" ჩაუდგა სათავეში...

1925 წელს ასირი თბილისს გადმოვიდა საცხოვრებლად მშობლებთან ერთად. იმ დროიდან მან თავისი ბედი ქართულ ფეხბურთს დაუკავშირა. გალპერინი თბილისის „დინამოში" თამაშობდა ცენტრალურ თავდამსხმელად. ეს იყო საზოგადოების ჩამოყალიბების — ორგანიზაციული განმტკიცების, ძალებით შევსების, მშენებლობის წლები, წლები იმ საპატიო სიმაღლისკენ სვლისა, რაც შემდეგ „დინამომ" დაიკავა რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავშირის სპორტულ ცხოვრებაში. საზოგადოების საფინანსო განყოფილება რომ ებარა, იგი გატაცებით მუშაობდა და ნამდვილი ფეხბურთის სათამაშოდ აღარც ჰყოფნიდა დრო. ფეხბურთელი აღარ ერქვა, მაგრამ ფეხბურთს მაინც არ უღალატა.

1928 წელს გალპერინმა უკანასკნელად ითამაშა თავისი გუნდის სახელით, მანამდე კი, 1927 წელს, უკვე საზოგადოებრივ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. მაგალითად, იმ ხანებში მისი ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა ახალგაზრდული გუნდი „დინამო", რომელმაც გამოზარდა ფეხბურთის ცნობილი ოსტატები: შ. შავგულიძე, მ. ბერძენიშვილი, ა. დოროხოვი...

მაგრამ ფეხბურთის დიდ სიყვარულს საზოგადოებრივ მწვრთნელად მუშაობა ვერ უკლავდა გალპერინს. ამასთან, სწორედ იმ ხანებში გაჩნდა რწმენა, რომ ფეხბურთელთა ცვლის აღზრდაში თვითდინება უნდა შეწყვეტილიყო და ამ საქმეს ორგანიზებული ხასიათი მისცემოდა. ერთი სიტყვით, 1936 წელს გალპერინი საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გადავიდა, რათა ამ ინსტიტუტთან ჩამოეყალიბებინა ბავშვთა პირველი ექსპერიმენტული სკოლა ფეხბურთში. მალე სკოლა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა. 1938 წელს ამ სკოლის გუნდმა „მოლოტმა" ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის და გარდამავალი თასიც დაისაკუთრა.

ამ წარმატებამ ალბათ ორმაგი კმაყოფილება მოუტანა გალპერინს — როგორც სპორტსმენს და როგორც პედაგოგს. სკოლის მუშაობას საფუძვლად ედო მისი საკუთარი, ორიგინალური პედაგოგიური პრინციპებიც, რომაც ჩინებული ნაყოფი გამოიღო.

რით გამოირჩეოდა ეს სკოლა? უაღრესად განვითარებული გახლდათ თვითმოქმედებისა და შეჯიბრების პრინციპი თვით სკოლის ცხოვრებაში. 12 გუნდი და ერთი მწვრთნელი — ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი აქტიურობის, ბოროტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის, სკოლის ორგანიზაციულ ცხოვრებაში საქმიანი მონაწილეობის შედეგად. ფეხბურთის სწავლება მოქალაქეობრივ აღზრდას ეყრდნობოდა და ამიტომ ჩინებულ შედეგებს იძლეოდა. ამ სკოლის გამოცდილებას დღესაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

ოცდაათიანი წლების ბოლოს გალპერინი სათავეში ჩაუდგა ფეხბურთის სკოლას თბილისის „დინამოში". თუმცა დროდადრო მაინც მოსწყვეტდნენ ხოლმე ბავშვებთან მუშაობას. მაგალითად, 1942-45 წლებში გალპერინი თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდს წვრთნის, 1947-49 წლებში რესპუბლიკის სახელმწიფო მწვრთნელია ფეხბურთში. მაგრამ ბავშვები მაინც მუდამ უფრო იზიდავდნენ... გალპერინი უფროსი მწვრთნელი იყო თბილისის განთქმული 35-ე სკოლისა. 1957-60 წლებში იგი ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი და უფროსია. დიახ, მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი დაუთმო მოზარდ თაობას, ბავშვთა ფეხბურთს. წიგნიც კი ამ თავის საყვარელ საქმიანობაზე დაწერა: „როგორ ვასწავლოთ ტაქტიკა ნორჩ ფეხბურთელებს".

... ბოლო წლებში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობის დროს, გალპერინი ფეხბურთელთა მომზადების რაციონალური ორგანიზაციით დაინტერესდა. გვინდა გამოვთქვათ იმედი და ვუსურვოთ ამ დაუღალავ კაცს, რომ კიდევ ბევრი, ბევრი წელიწადი შეალიოს საყვარელი საქმის სამსახურს, კიდევ დიდხანს ეყოს საამისოდ ძალა, ენერგია და მონდომება.

**საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.**

## „ბ" ჯგუფი

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოგვყავს „ბ" კლასის III და IV ზონების ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩების შედეგები.

### III ზონა

**ლაბინსკი.** ადგილობრივმა „უროჟაიმ" თავის მოედანზე მიიღო გურჯაანის „ალაზანი". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0. „ალაზნის" ფეხბურთელებმა ამ თამაშის შემდეგ 28 ქულა დააგროვეს. ისინი სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან.

**მაიკოპი.** გაიმართა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების, ადგილობრივი „უროჟაისა" და გორის „დილას" მატჩი. ერთადერთმა ბურთმა მატჩის ბედი მაიკოპელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. „უროჟაის" ფეხბურთელები ამ მოგებით დაეწიენ გათამაშების ლიდერს — ბელგოროდის „სპარტაკს", რომელმაც თავისი ბოლო მატჩი ფრედ დაამთავრა. „დილას" ფეხბურთელებს ახლა 28 თამაშიდან 38 ქულა აქვთ. ისინი კვლავ V ადგილზე არიან.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ურალანი" (ელისტა) — „არაზი" (ნახიჭევანი) 0:0, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) 2:0, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 1:0.

### IV ზონა

**ლანჩხუთი.** ადგილობრივმა „გურიამ" თავის მინდორზე მიიღო ცხინვალის „სპარტაკი". სტუმრები შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც დამარცხდნენ. ანგარიშია 2:1 „გურიას" სასარგებლოდ. ამ გამარჯვებით ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს სატურნირო ცხრილში III ადგილი. „გურიას" ახლა 29 თამაშის შემდეგ 37 ქულა აქვს (ბურთების შეფარდება 45-28). გუნდი 2 ქულით ჩამორჩება II ადგილზე მყოფ ნოვოროსიისკის „ცემენტს".

**მახარაძე.** აქ მორიგი კალენდარული მატჩი გამართა ზონის ლიდერმა კიროვაკანის „ლორმა". „მერცხალმა" მონდომებით და თავგანწირულად ჩაატარა ეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია — 2:0. კიროვაკანელმა ფეხბურთელებმა მიმდინარე სეზონში მესამე დამარცხება განიცადეს. „მერცხალს" ახლა 35 ქულა აქვს (30 თამაშიდან) და გათამაშების ცხრილში IV ადგილს იყოფს ოქტემბერიანის „სევანთან".

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 0:0, „უროჟაი" (გროზნო) — „არაქსი" (ეჩმიაძინი) 1:2.

# რვიდან ერთი — ნაკრებში

ლვოვში ოთხ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდობის სპორტული სკოლების საკავშირო გუნდური პირველობის ფინალი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ზონებში გამარჯვებული კოლექტივები: მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ორჯონიკიძის, მახაჩყალის, ქუთაისის, მინსკის, კიშინიოვის, ტაშკენტის, ყარაგანდის, ფრუნზესა და თბილისის სპორტსკოლების გუნდები.

მონაწილენი, დებულების თანახმად ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. თბილისელებთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ მინსკის, კიშინიოვის, ლენინგრადის, ტაშკენტისა და ყარაგანდის წარმომადგენლები. ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: თ. მიქელაძე, ვ. ვალიშვილი, გ. დგებუაძე, ჯ. ხუბულური, ა. ილურიძე, ვ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი, ნ. მოდებაძე აშკარა უპირატესობით ძლია ყველა მეტოქეს და ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავა. II ადგილი და ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ლენინგრადის მოჭიდავეებმა. მეორე ქვეჯგუფში I-II ადგილები შესაბამისად დაიკავეს ორჯონიკიძისა და მახაჩყალის გუნდებმა.

თბილისის ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ფინალშიც ისახელეს თავი. განსაკუთრებით საგულისხმო იყო სპორტული სკოლების საკავშირო პირველობის ორგზის ჩემპიონის, მახაჩყალის ძლიერი გუნდის დამარცხება. თბილისელებმა დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი. II ადგილი წილად ხვდა მახაჩყალის, ხოლო III — ორჯონიკიძის მოჭიდავეთა კოლექტივს.

ქუთაისის სპორტსკოლის მოჭიდავეებმა ასპარეზობაში VII ადგილი დაისაკუთრეს, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ: მათ უკეთესი მაჩვენებელიც ექნებოდათ, ზოგიერთ მსაჯს რომ არ დაეშვა უხეში შეცდომა ქუთაისისა და მოსკოვის გუნდების ორთაბრძოლაში. ქუთაისელთა მაღალ მომზადებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ გუნდის ორი წევრი — ა. ასლანიანცი და ბ. გოგსაძე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ. ამავე ნაკრებში თბილისელთაგან 7 სპორტსმენი შეიყვანეს. ესენი არიან: თ. მიქელაძე, ვ. ვალიშვილი, გ. დგებუაძე, ა. ილურიძე, ვ. თედიაშვილი, შ. პაპაშვილი და ნ. მოდებაძე.

**მ. ოსიუმაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**



შალის ქსოვილისგან დამზადებული ეს საწვრთნელი კოსტუმები სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებისთვის შექმნეს მოსკოვის სპორტული ტანსაცმლის მოდელების სახლის ოსტატებმა.

ფოტო ვ. ტრეპეტოვისა. (საკდესი).

# მხოლოდ მარკები საქმეს არ შველის

გორელ რკინიგზელ ფიზკულტურელებს ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში ერთ დროს თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდათ: ჰყავდათ კარგი ფეხბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, მოჭიდავეები, რეგულარულად მუშაობდნენ ჭადრაკის, შაშისა და სხვა სექციები, მაგრამ... ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ფიზკულტურული მუშაობის გაშლისთვის აქ თავს აღარავინ იწუხებს, „ლოკომოტივის" რაისაბჭოს წარმომადგენლები კი წელიწადში ერთხელ ამოისეირნებენ, პროფკავშირულ მუშაკებს სპორტსაზოგადოების საწევრო წიგნაკებსა და მარკებს მიუყრიან და მეორე წლამდე აღარ ჩანან.

შპალსაჟღენთი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჯიჩოევმა შარშან იძალა. დირექციის კოლექტიურ ხელშეკრულებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობა შეატანინა. საქმეც დაიწყო. ახალგაზრდებს უხაროდა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებსაც ავაგებთო, მაგრამ მშენებლობა მალე შეწყდა.

გორის საქალაქო საბჭოს სესიამ ამას წინათ სპეციალურად განიხილა საკითხი ქალაქში სპორტული მოედნების მოწყობისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. შპალსაჟღენთი ქარხნის დირექციასაც დაევალა დაწყებული მშენებლობა დაემთავრებინა. მაგრამ სესიის დავალება დავალებად დარჩა.

შარშან მოედნების მშენებლობის დაწყებისთანავე ამ ორგანიზაციაში ბურთები და სხვა ინვენტარი შეიძინეს, რომელთაც დღემდე არ ღირსებიათ ულის სინათლე.

ქალაქის სპორტკავშირმა ადგილობრივი დაწესებულებების ხელმძღვანელთა და „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს წინაშე ბევრჯერ დააყენა საკითხი მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე, მაგრამ ეს ყურად არავინ იღო. სპორტკავშირში რომ მეტი პრინციპულობა გამოეჩინათ და საქართველოს სპორტკავშირის მესვეურნი ჩაეყენებინათ საქმის კურსში, მდგომარეობა შეიცვლებოდა.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

## მსოფლიოს ქვეყნებში



ტრადიციის მიხედვით, ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა მონაწილენი პროგრამის ყველა სახეობაში უნდა გამოიყვანონ. მექსიკელებს წარმატების იმედი განსაკუთრებით კრივში და ისიც მსუბუქ წონით კატეგორიებში აქვთ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პროგრამის მთელ რიგ სახეობებზე. ბოლო დრომდე ვერაფრით გამოირჩეოდნენ მექსიკელი მძლეოსნები და მოცურავეები. მართალია, ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში მძლეოსნებმა 22 ეროვნული რეკორდი გააუმჯობესეს, მაგრამ ტექნიკური შედეგები არც თუ ისე სახარბიელოა. საგრძნობი წინსვლა იგრძნობა ცურვაში. ამ სახეობის წარმომადგენელთა შორის ოლიმპიურ ფავორიტად მიაჩნიათ ახალგაზრდა, ნიჭიერი ეჩევარია, რომელსაც თავისუფალი სტილით ცურვაში სპეციალისტები მედალსაც კი უწინასწარმეტყველებენ. ამ სურათზე სწორედ ეჩევარიაა აღბეჭდილი ერთ-ერთი გაცურვის შემდეგ.



ახლოვდება XIX ოლიმპიური თამაშების გახსნის დღე. ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ საბერძნეთში აინთო, ქრისტეფორე კოლუმბის ცხოვრებასთან დაკავშირებული ქალაქების გავლით მეხიკოსკენ მიემართება. მან უკვე გაიარა გენუა, ბარსელონა...

მაგრამ აი სენსაციაც, რომელიც უცბად მოედო მთელს მსოფლიოს. ოლიმპიური ჩირაღდანი ხელში აუფეთქდა ესპანელ მძლეოსან გრეგორიო სანჩესს, რომელსაც ამ ჩირაღდნის წაღება ჰქონდა დავალებული. იტალიის გაზეთ „უნიტადან“ ამოღებულ ფოტოზე სწორედ აფეთქების მომენტია აღბეჭდილი. სანჩესი მსუბუქად დაშავდა. აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.




ეს გამარჯვება იტალიელებმა განსაკუთრებით იზეიმეს, რადგან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს პროფესიონალთა საგზატკეცილო ველორბოლაში დიდხანს იყვნენ მონატრებული. ქალაქ იმოლაში სტარტის წინ ვ. ადორნის გამარჯვებას არავინ დაიჯერებდა, მაგრამ 31 წლის ველოსიპედისტმა თავის თავში მონახა ძალა და ურთულესი წრიული ტრასა ყველაზე სწრაფად გაიარა.

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიოს ახალი ჩემპიონი საგზატკეცილო რბოლაში პროფესიონალთა შორის ვ. ადორნი.

# უკვე გაინაღდეს!..

წყალბურთელთა საკავშირო ტურნირის ფინიშზე პრეტენდენტებში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა მეტად გამწვავდა. მეოთხე ტურში ტაშკენტელებმა გამანადგურებელი ანგარიშით (11:0) დაამარცხეს გომელის „ვოდნიკი“, სამაგიეროდ, ლენინგრადისა და კიევის „ბურევესტნიკის“ ბრძოლა შეუპოვარი იყო. სამ პერიოდში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა უპირატესობა. დასკვნით პერიოდში ლენინგრადელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს — 5:4.

ასევე შეუპოვარი გამოდგა თბილისისა და ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ მატჩი. დასაწყისიდანვე ალმაათელებმა მჭიდრო პრესინგს მიმართეს. ისინი ხშირად არღვევდნენ წესს და კიდეც ჯარიმდებოდნენ. როდინს ნერვებმა უმტყუნა და ვერ გამოიყენა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა.

ვერც მეორე პერიოდში შეძლეს მეტოქეებმა ერთმანეთის დაძლევა. ამჯერად სეროფიანმა ააცილა მიზანს ოთხმეტრიანიდან. მესამე პერიოდში ალმაათელები დაწინაურდნენ 4-მეტრიანი საჯარიმოს ტყორცნის მეშვეობით, მაგრამ იმავე წუთს კურტანიძემ გაქვითა ანგარიში.

შემდეგ როდინმა გაიყვანა წინ გუნდი, მაგრამ მეოთხე პერიოდის დასაწყისში თბილისელები დაჯარიმდნენ და ჩერნიხმა საჯარიმოდან ტყორცნით აღადგინა წონასწორობა. აქ თავი კვლავ უშანგაშვილმა ისახელა — ჯერ შორი მანძილიდან ბრწყინვალე ტყორცნით [illegible] [illegible] ოთხმეტრიანიდან გაიტანა მეოთხე გოლი. ალმაათელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ თბილისელები ფხიზლად დარაჯობდნენ თავისი კარის მისადგომებს და ენერგიულ კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. ერთ-ერთი კონტრშეტევა დამთავრდა სეროფიანის ულამაზესი ტყორცნით მეტოქეთა კარში და ალმაათელებმა მეხუთედ შეიყვანეს ბურთი თამაშში. საბოლოოდ თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4. მათ უკვე გაინაღდეს I ადგილი.

**ვ. ბარნაბიშვილი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## • KOPANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABĐARUGAS •

### ახალი წარმატება

ბრაზილიის ნაკრები, მიმომხილველთა აზრით, სულ უფრო უკეთ თამაშობს. ამის ნათელი დადასტურება იყო ბრაზილიელთა მიერ „მარაკანას“ სტადიონზე არგენტინის ძლიერ ნაკრებთან ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩი, რომელსაც 45 ათასი მაყურებელი დაესწრო. ბრაზილიის ნაკრებში რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოდიოდა. აი, როგორი იყო მასპინძელთა შემადგენლობა: ფელიქსი, მორეირა, ბრიტო, ლეონიდასი, კარლოს ალბერტო, ვალენცირი, ნადო, გერსონი, რობერტო, ჟაირზინიო, ცეზარი.

ანგარიში მე-40 წუთზე ვალენცირმა გახსნა. ამას მოჰყვა რობერტოს ორი გოლი (48-ე და 65-ე წუთებზე), ხოლო ბოლო, მეოთხე ბურთი არგენტინელთა კარში ჟაირზინიომ (82-ე წუთზე) გაიტანა. ბოლო წუთზე ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი გახლდათ ბაზილე.

პრესის აზრით, არგენტინელები თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ, ბრაზილიელებს კი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ.

### „ვარსკვლავების“ წინააღმდეგ

„ნაპოლის“ დირექტორატმა გამოიტანა დადგენილება კლუბის წამყვანი მოთამაშეებისთვის ჯამაგირისა და პრემიების შემცირების შესახებ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ რამდენიმე „ვარსკვლავის“ მეტისმეტად პრივილეგიური მდგომარეობა, დანარჩენი ფეხბურთელების უკმაყოფილებას იწვევდა. ასე მაგალითად, 1967-68 წ.წ. სეზონში სივორიმ, ალტაფინიმ და იულიანომ თვითეულმა კლუბისგან 50 მილიონი ლირა (80 ათასი დოლარი) მიიღო.

ანალოგიურად მოიქცა „ინტერის“ დირექტორატი, რომელიც იტალიაში ყველაზე მეტ გასამრჯელოს აძლევდა მოთამაშეებს. განსაკუთრებით ბევრს იღებდნენ ამ კლუბის წევრები სუარესი და კორსო.

### ო თ ხ ი პრეტენდენტი

დამთავრდა აშშ-ს ჩემპიონატის პირველი ფაზა — შეჯიბრება ორ ქვეჯგუფში. დებულების თანახმად, ორ-ორი გამარჯვებული (თვითეული ქვეჯგუფიდან) ბრძოლას გააგრძელებს ფინალში წრიული სისტებით. აი, ვინ იბრძოლებენ ფინალში: „ატლანტა“, „კლივლენდი“, „კანზას სიტი“ და „სან-დიეგო“. ჩიკაგოს კლუბი „მუსტანგები“, რომელიც ზოგ. სპეციალისტს ჩემპიონობის ყველაზე ნაღდ პრეტენდენტად მიაჩნდა, ქვეჯგუფში III ადგილზე გავიდა და ფინალში ვერ მოხვდა.

აშშ-ს ჩემპიონატის ფინალური ფაზა ჩატარდება 11-28 სექტემბერს. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ლიგის უძლიერესი გუნდები, სადაც მრავლად არიან ევროპული ოსტატები, კარგ თამაშს აჩვენებენ.

### მ ხ ა რ ე ე ბ ი შეთანხმდნენ

მსოფლიო ჩემპიონატის III ევროპულ შესარჩევ ჯგუფში, სადაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უელსისა და იტალიის გუნდები გამოდიან, მხარეები შეთანხმდნენ თარიღების შესახებ.

1968 წლის 23 ოქტომბერი. უელსი—იტალია, 1969 წლის 29 მარტი. გდრ—იტალია, 16 აპრილი. გდრ — უელსი, 22 ოქტომბერი. უელსი — გდრ, 4 ნოემბერი. იტალია — უელსი, 22 ნოემბერი. იტალია — გდრ.

### განამ დატოვა ფ ე დ ე რ ა ც ი ა

განის ფეხბურთელთა კავშირმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ იგი გამოდის აფრიკის ფეხბურთის ფედერაციიდან და მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთ შეჯიბრებაში, რომელსაც ეს ორგანიზაცია ჩაატარებს.

ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად მიმომხილველებს მიაჩნიათ ის დიდი უკმაყოფილება მსაჯობით, რომელიც თან ახლდა აფრიკის ჩემპიონატის გათამაშებას 1967 და 1968 წლებში.

### ჩემპიონობას პ ი რ დ ე ბ ა

ცნობილმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ო. გლორიამ, რომელიც ადრე სათავეში ედგა პორტუგალიის ნაკრებსა და ლისაბონის „ბენფიკას“, მეტისმეტად რიხიანი განცხადებით დაიწყო მუშაობა იტალის „ნაპოლში“. „წლეულს აუცილებლად გპირდებით იტალიის ჩემპიონობას. ვიმუშავებთ ისეთივე ეფექტური მეთოდებით, როგორც „ბენფიკაში“. საერთოდ კი უნდა გითხრათ რომ ჩემი ხელმძღვანელობით სხვადასხვა გუნდს 18-ჯერ აქვს მოპოვებული ჩემპიონობა. „ნაპოლის“ გამარჯვება მეცხრამეტე იქნება“.

„ნაპოლის“ ხელმძღვანელობაც თავის მხრივ, საკმაოდ ეშმაკურად მოიქცა. მან ჯამაგირთან ერთად გლორიას დიდი პრემია აღუთქვა, თუ გუნდი ნამდვილად გახდება უმაღლესი ტიტულის მფლობელი. II და III ადგილები მწვრთნელს აქტივში არ ეთვლება, რადგან საპრიზო ადგილები „ნაპოლის“ გლორიას გარეშეც მოუპოვებია.

### ს უ ა რ ე ს ი ს უკანასკნელი სეზონი

განთქმულმა ესპანელმა ფეხბურთელმა ლ. სუარესმა, რომელიც მერვე სეზონია მილანის „ინტერნაციონალეში“ გამოდის, გადაწყვიტა დაამთავროს თავისი კარიერა. „ინტერთან“ ხელშეკრულების ვადა 1969 წელს თავდება. სუარესმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება და გაისად შეწყვეტს გამოსვლებს.

სუარესი, რომელიც „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული პრიზის — „ოქროს ბურთის“ ლაურეატი და ევროპის № 1 ფეხბურთელი იყო, წლეულს მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ნაკრებისა და ბრაზილიელთა მატჩში, რომელიც „მარაკანას“ სტადიონზეა დანიშნული.

### მ ე ო რ ე ტ ა ი მ შ ი...

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა 1968-69 წ.წ. ჩემპიონატის მატჩებში დაუშვას მეკარის (მთელი მატჩის მანძილზე) და მინდვრის ერთი მოთამაშის (მხოლოდ მეორე ტაიმში) შეცვლა. პირველ ტაიმში მოთამაშის შეცვლა იტალიაში კლავინდებურად არაა ნებადართული.

▲ **მეხიკო.** ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა მექსიკელთა ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ასპარეზობისას ქვეყნის 22 რეკორდი დამყარდა. აი, ზოგი მათგანი: 100 და 200 მ რბენა—გონსალესი — 10,3 და 21,0; 400 მ — დუნკელბერგი — 46,2; 400 მ თარჯრბენა — სანჩესი — 50,9, 80 მ თარჯრბენი — ბასილიო — 11,2.

▲ **ათენი.** საბერძნეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში, რომელსაც ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები უნდა შეერჩია, 10.000 მეტრზე რბენა მოიგო ვუროსმა — 31.03,2. პაპანიკოლაუმ ჭოკით 525 სმ გადალახა. სხვა მაჩვენებლები არ შეესაბამებოდა იააფ-ის საკვალიფიკაციო ნორმატივებს.

▲ **ვაშინგტონი.** ამერიკელ ჩოგბურთელთა ჩემპიონატის ფინალში ა. აშმა დაამარცხა ბ. ნუცი (4:6, 6:8, 8:10, 6:0, 6:4) და I ადგილი დაისაკუთრა.

▲ **ჰანოვერი.** გფრ-ის მძლეოსან ხუთჭიდელთა ჩემპიონატში უძლიერესი იყო ჰ. როზენდალი—5040, ი. ბეკერი გამარჯვებულს 25 ქულით ჩამორჩა. ორივე სპორტსმენი შეიყვანეს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში.

▲ **ნიუ-იორკი.** უოლნატში ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საბოლოოდ დადგინდა აშშ-ს მძლეოსან ქალთა ოლიმპიური ნაკრები. ტყორცნებსა და ხუთჭიდში მხოლოდ თითო სპორტსმენმა შეასრულა იააფ-ის საკვალიფიკაციო ნორმატივი, ამიტომაც გუნდს მეორე ნომრები ამ სახეობაში არ ეყოლება. სპრინტსა და ესტაფეტაში 4×100 მეტრზე აშშ-ს სახელს დაიცავენ: ტაიუსი, ნეტერი, ფერელი, ბეილსი.

▲ **ოტავა.** კანადელ მოცურავეთა შესარჩევ შეჯიბრებაში ფრინჩმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით 54,8 წამში გაცურა და ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. კანადის რეკორდები გააუმჯობესეს აგრეთვე, მახონეიმ — 200 მეტრზე ბრასით — 2.31,0, ხმითმა და ტანერმა — 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.16,4 და 2.31,8.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11039